აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 17

5 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია „ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესის" რეგისტრაციაში გატარების თაობაზე**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით რეგისტრაციაში გატარდეს საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია „ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესი".

**მუხლი 2**. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3**. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე